

**ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება წინასაარჩევნო პერიოდში  
ხშირად დასმული კითხვები**

**Q:** რა სახის ადმინისტრაციული რესურსი შეიძლება გამოვიყენოთ წინასაარჩევნოდ?

**A:** - სამართლებრივი (საკანონმდებლო, მარეგულირებელი რესურსი)  
- ინსტიტუციური  
- ფინანსური  
- აღსრულებითი

**Q:** რა არის სამართლებრივი ადმინისტრაციული რესურსი და როგორ შეიძლება მისი საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენება?

**A:** ეს არის შემთხვევა, როცა წინასაარჩევნო პერიოდში კანონი ისე იცვლება, რომ კანდიდატებისათვის არათანაბარი გარემო იქმნება.

**მაგალითად:** საარჩევნო სუბიექტისთვის ნომრის მინიჭებისას წარმოქმნილი პრობლემები, კენჭისყრის დღეს ფოტო-ვიდეო გადაღების უფლების შეზღუდვა, საარჩევნო რეკლამის თანხების წინასწარ გადახდის ვალდებულების შემოღება.

**Q:** რა არის ინსტიტუციური ადმინისტრაციული რესურსი და როგორ შეიძლება საარჩევნო მიზნებისთვის მისი გამოყენება?

**A:** ინსტიტუციური ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაა წინასაარჩევნო პროცესში სახელმწიფოს თანხებით დაფინანსებული მატერიალური თუ ადამიანური რესურსების რომელიმე კანდიდატის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ ჩართვა. ასეთი ქმედებები აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით და იწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

**მაგალითად:** ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე/პრეზენტაციაზე ორგანიზატორის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა. ასევე, ბიუჯეტის თანხებით სააგიტაციო მასალის, ვიდეო- ან აუდიომასალის დამზადებით, ვებგვერდის ან მისი ნაწილის შექმნით. ინსტიტუციურ რესურსად ჩაითვლება, ასევე საჯარო მოსამსახურის მიერ პარტიული აქტივობების დროს სამსახურებრივი ავტომობილის გამოყენება (გამონაკლისია თანამდებობის პირები, ვისაც სახელმწიფო დაცვა ემსახურება).

**Q:** რა არის ფინანსური ადმინისტრაციული რესურსი და როგორ შეიძლება მისი

### საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენება?

**A:** ფინანსური ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნოდ გამოყენებაა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო რესურსების მიმართვა მიმართველი პარტიის ან კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეწყობისთვის. ადმინისტრაციული რესურსის ასეთი გამოყენება დაუშვებელია [„საარჩევნო კლდექსით“](#). კერძოდ, კანონი არჩევნებამდე 60 დღის განმავლობაში კრძალავს საბიუჯეტო პროგრამების დაფინანსების ზრდას და ახალი პროგრამების წამოწყებას, გარდა გარკვეული გამონაკლისისა.

ფინანსური ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად შეიძლება მივიჩნიოდ საარჩევნოდ მოტივირებული ხარჯების გაღებაც. ეს გამოიხატება არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე ისეთი პროგრამების განხორციელებით, რომლებიც ძირითადად ამომრჩეველთა გულის მოსაგებად არის განკუთვნილი და არ ემსახურება ქვეყნის განვითარების გრძელვადიან გეგმებს.

**მაგალითად:** პენსიების ზრდა წინასაარჩევნოდ, მასობრივი დროებითი დასაქმების პროგრამები.

**Q:** რა არის და როგორ შეიძლება აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენება?

**A:** აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნოდ გამოყენებაა პოლიტიკური ნიშნით ადამიანის დევნა, სამსახურებრივად დაქვემდებარებული პირის ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას/არჩევას. ადმინისტრაციული რესურსის ასე გამოყენება აკრძალულია ქართული კანონმდებლობით.

**მაგალითად:** ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების აქტივისტების დაკავების, დაკითხვაზე დაბარებისა და პასუხისგებაში მიცემის ფაქტები; ბაგა-ბაღების თანამშრომლებზე ზეწოლა და სამსახურიდან გათავისუფლება; ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების კანდიდატებზე განხორციელებული სავარაუდო ზეწოლა მათი რეგისტრაციიდან მოხსნის მიზნით; სკოლის თანამშრომლებზე, ასევე, სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებზე ზეწოლა და სამსახურიდან გათავისუფლება.

**Q:** არის თუ არა საჯარო სამსახურში დასაქმებული პირის წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართვა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება?

**A:** სამუშაო საათებში საჯარო მოსამსახურის საარჩევნო კამპანიაში ჩართვა აკრძალულია. შვებულების ან არა სამუშაო დროს კი დასაშვებია. საჯარო მოსამსახურეებად ითვლებიან: პროფესიული საჯარო მოხელე/საჯარო

მოხელე/მოხელე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

თუმცა, პოლიტიკური თანამდებობის პირებს აგიტაციაში მონაწილეობის მიღება სამუშაო საათებშიც შეუძლიათ. პოლიტიკური თანამდებობის პირებია:

- საქართველოს პრეზიდენტი;
- საქართველოს პარლამენტის წევრი;
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი;
- საქართველოს მთავრობის სხვა წევრები და მათი მოადგილეები;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი;
- სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი.

არიან ადამიანები, რომლებსაც საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა სრულად ეკრძალებთ, შვებულების ან არასამუშაო საათების დროსაც კი:

- საარჩევნო კომისიის წევრი;
- მოსამართლე;
- საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საჯარო მოხელეები;
- გენერალური აუდიტორი;
- საქართველოს სახალხო დამცველი;
- უცხო ქვეყნის მოქალაქე და ორგანიზაცია;
- საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციები;
- სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებისა – სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს;
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრები.

**Q:** ვინ არის პასუხისმგებელი ორგანო ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების კონტროლის მხრივ?

**A:** იმ შემთხვევაში თუ საარჩევნო კამპანიის დაწყების შემდეგ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისას დარღვეულია კანონი, რეაგირებას [საარჩევნო ადმინისტრაცია](#) და უწყებათაშორისი კომისია ახდენს.

**Q:** შეიძლება თუ არა კანონი არ კრძალავდეს, მაგრამ მაინც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად ჩავთვალოთ კონკრეტული შემთხვევა?

**A:** შეიძლება. მაგალითად, ბიუჯეტში ცვლილებები არა 60 დღის განმავლობაში (რასაც კანონი კრძალავს), არამედ 60 დღემდე მოხდეს, მაგრამ ეს ხარჯები მოკლევადიან, საარჩევნო მიზნებს ემსახურებოდეს.

ასეთ ფაქტების განალიზებისას, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ იყენებს შემდეგი სახის **ფილტრს**:

- განხორციელების დრო
- პოლიტიკური სარგებელი
- ბენეფიციართა რაოდენობა
- ქვეყნის განვითარების ლეგიტიმური პრიორიტეტები VS მოკლევადიანი პოპულიზმი

**მაგალითად:** თუ ხარჯების გაწევის/პროგრამის განხორციელების დრო ახლოსაა არჩევნებთან, პოლიტიკური სარგებელი ანუ ამომრჩევლის მომხრობის შესაძლებლობა ნათელია, თუ დაფინანსებული პროექტის ბენეფიციართა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენა შეუძლია და აღნიშნული პროექტი მკაფიოდ არ ემსახურება ქვეყნის განვითარების გრძელვადიან გეგმას (მაგ: წინასაარჩევნო დასაქმების მოკლევადიანი პროგრამები), შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ საქმე გვაქვს ფინანსური ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან.

**M-TAG პროგრამა ხორციელდება ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით**